სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/120

ქ. თბილისი

29 ივლისი 2021 წ.

აკადემიური პერსონალის კონკურსისთან დაკავშირებით განცხადებების მიღების ვადის გაგრძელების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის სხდომის №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2021 წლის 24 ივნისს გამოცხადებული კონკურსით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობებზე საკონკურსო განცხადებების მიღების ვადა გაგრძელდეს 2021 წლის 31 ივლისის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, შესაბამისი საკონკურსო კომისიის სამდივნოში;
2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ნ. კუტუბიძე**